

ემზარ ჭანტურიძე

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ლაცულო წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ

საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში განუზომლად დიდია პირველწყაროების (ქართველი და უცხოელი ავტორები) როლი და მნიშვნელობა. ჩვენ ვაგრძელებთ პუბლიკაციას იმ პირველწყაროებისას, რომელიც დაცულია ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის საცავებში.

წინამდებარე “წელიწდეულის“ მეორე ნომერში ვაქვეყნებთ 211 წყაროს ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ერთ წიგნში “სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნის ანდერძებში” შეყვლია 138 პირველწყარო. მასში დაცულია XIV-XV საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეთნოგრაფიული და რელიგიური ხასიათის ცნობები, რომელიც ავსებს ამავე თუ შემდგომი პერიოდის წყაროებში დაცულ ინფორმაციებს საქართველოს ისტორიის შესახებ. აღნიშნული წყაროების შესახებ პროფ. ალ. აბდლაძე აღნიშნავს, რომ XII-XV საუკუნეებში, მტრის შემოსევების დროს, განადგურდა ჩოგორც ქართულ, ასევე უცხოურ საისტორიო წყაროთა გარკვეული ნაწილი. “ასეთ ვითარებაში საქართველოს ისტორიის სომხურ წყაროებს, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ქართულ წყაროებთან ერთად ისინიც საპირისპირო მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა ხელიდანაა გამოსული და თავიანთი ბუნებით დიდად განსხვავდებიან საერთო საისტორიო ნაწარმოებებისაგან...” (იხ. ალ. აბდლაძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ XIV-XV სს., თბ., 1978 წ., გვ. 7). ალ. აბდლაძის მოსაზრებით, სომხურ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება არასწორი, გაზვიადებული მონაცემები, მაგრამ, სხვა წყაროებთან შედარება-შეჯერებით, მკვლევრებს ეძლევათ სიმართლის დადგენის საშუალება. შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური მდგომარეობაა სხვა წყაროებთან მიმართებაშიც.

აქ წარმოდგენილი პირველწყაროების ავტორები უცხოელები არიან. წყაროები ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდს ასახავს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული წყაროების მხოლოდ ნაწილის სიას ვაქვეყნებთ. მომავალში გამოვლინდება ქრონოლოგიურად როგორც უფრო ადრინდელი, ასევე შემდგომი ეპოქის ამსახველ წყაროები. ამდენად, წყაროების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოდგენა ამ ეტაპისათვის ვერ მოეხერხებოდა. მომავლისთვის ვეცდებით წყაროების რიგრიგობის დაცვას.

მიუხედავად წყაროებში დაშვებული უზუსტობისა (რომელიც მათში განგებ ან უნებურად არის მოცემული), მათი მნიშვნელობა ისტორიის კვლევისას შეუდარებლად დიდია. ამდენად, ჩვენი სურვილია, საქართველოს ისტორიის მკვლევრებსა და ზოგადად ყველა დაინტერესებულ პირს მივაწოდოთ ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული პირველწყაროების ანოტირებული ბიბლიოგრაფიის სრული სია.

1. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. წიგნში შესულია სამი ავტორის: სკილაქს კარიანდელის (ძვ.წ. VI-V სს-ის მიჯნა), სკიმნიოს ქიოსელის (ძვ.წ. III-II სს.) და დიონისიოს პერიეგეტის (ახ.წ. II ს.) თხზულებებიდან ამოკრებილი მასალა. ავტორთა შრომებში დაცული მასალა, ძირითადად, გეოგრაფიული ხასიათისაა და გვაწვდის ინფორმაციას ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ქართული ტომების შესახებ.

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები, საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1967 წ.

2. ჰეროდოტე, ძვ. წ. V ს. ბერძენი ისტორიკოსი. მისი თხზულება "ისტორია" ძირითადად ეხება ბერძენ-სპარსელთა ომების (ძვ. წ. 500-449 წწ.) ისტორიას. მასში ასევე დაცულია სხვადასხვა ხალხის, სხვადასხვა პერიოდის ისტორიული, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ხასიათის ცნობები; მათ შორის, ცნობები ქართველი ტომების (კოლხები, სასპერები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსიკები, მარები) შესახებ.

ჰეროდოტეს "ისტორიის" ქართული თარგმანი გამოცემულია ორ ტომად: ტ. I — 1975 წ., ტ. II — 1976 წ. ნაშრომში ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა (იხ., ასევე, თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960 წ.).

-3. ქსენოფონტე (ძვ. წ. V-IV სს. ისტორიკოსი), "ანაბასისი" (ცნობები ქართველი ტომების შესახებ).

"ანაბასისის" ქართული თარგმანი შესრულებულია გ. გემოლის მიერ გამოცემული ბერძნული ტექსტის მიხედვით. ტექსტში შესულ მასალაში დაცულია ცნობები ქართველი ტომების შესახებ. ასევე აღწერილია ბერძენი მოქირავნეების ლაშქრობა ქართული ტომებით დასახლებულ მხარეში, მათი ცხოვრების თავისებურებები (ჩაცმულობა, შეიარაღება, ხასიათები). გაშუქებულია ქართველი ტომების საერთაშორისო მდგომარეობა, ურთიერთობა ერთმანეთსა და მეზობელ ხალხებთან. მოხსენებულია ცალკეული ქართველი ტომების სახელწოდებანი. ამდენად, ქსენოფონტეს "ანაბასისი" საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უძველესი პირველწყაროა.

"ანაბასისის" ქართული თარგმანი, ბერძნული ტექსტით, შესავლით, კომენტარებით, შენიშვნებით მოამზადა, საძიებლები დაურთო და გამოსცა თ. მიქელაძემ, თბ., 1967 წ.

4. იოსებ ფლავიოსი, ახ.წ. I ს. ისტორიკოსი. მისი თხზულება "მოთხრობანი იუდაებრივისა ძეულისიტუაობისანი" პირველხარისხოვანი წყაროა იმ ეპოქის საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და სოციალური ტერმინოლოგიის შესასწავლად.

ფლავიოსის აღნიშნული თხზულება გამოცემულია ორ ნაკვეთად. I ნაკ. — 1987 წ., II ნაკ. — 1988 წ. თხზულების ორივე ნაკვეთში შესულია ფლავიოსის თხზულებების 15 წიგნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი და სამეცნიერო აპარატი.

ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი, პირთა, გეოგრაფიული, ეთნიკური და წარმომავლობის სახელთა საძიებელი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, თბ., 1987-1988 წწ.

5. აპიანე, აბ.წ. II ს. რომელი ისტორიკოსი, რომლის თხზულებაში — “მითრიდატეს ომების ისტორია” მრავლად მოიპოვება ცნობები ქართველი ტომების შესახებ.

ნაშრომი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო და გამოსცა თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959 წ. ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია A. Gzous-ის 1939 წ. გამოცემული ტექსტის მიხედვით.

6. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VI. წიგნში წარმოდგენილია სამი ბერძენი ავტორის: მემნონი (ძვ.წ. I ს. - აბ.წ. I ს.), ლუკიანე (აბ.წ. II ს.), ალციფრანი (აბ.წ. II-III სს.) თხზულებებიდან ამოკრებილი მასალა, რომელიც იძლევა საყურადღებო ცნობებს ანტიკურ საქართველოს ისტორიის შესახებ.

ტექსტი ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1987 წ.

7. იოანე დრასხანაკერტელი, “სომხეთის ისტორია“.

სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965 წ.

იოანე დრასხანაკერტელი IX-X სს. ისტორიკოსია. ის თავის ნაშრომში გადმოგვცემს სომხეთის ისტორიას დასაბამიდან 925 წლამდე. წინამდებარე წიგნში მოცემულია თხზულების იმ ნაწილის თარგმანი, რომელიც ეხება 786-925 წლების ამბებს. თხზულებაში დაცულია საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ. თხზულების ბოლო პერიოდში აღწერილი ამბები სანდოა, რადგან ავტორი ამ ამბების თვითმზილველი და ზოგჯერ აქტიური თანამონაწილეც იყო.

8. მოვსეს კალანკატუაცი, X ს. სომეხი ისტორიკოსი, “ალვანთა ქვეყნის ისტორია“. ძველ სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985 წ.

კალანკატუაციის თხზულება “ალვანთა ქვეყნის ისტორია“ მოიცავს კავკასიის აღმანეთის ისტორიას უძველესი დროიდან .X ს-მდე. აქვეა გადმოცემული აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელი ვითარების ცალკეული მომენტები.

წინამდებარე თარგმანი შესრულებულია 1913 წელს თბილისში გამოცემული ტექსტის მიხედვით, რომელიც შეგერებულია ვ. არაქელიანის მიერ გამოცემულ ტექსტთან.

9. უხტანესი, “ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975 წ.

X ს. სომეხი ისტორიკოსის უხტანესის თხზულება “ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ მნიშვნელოვანია არა მარტო აღნიშნული ხანის ამიერკავკასიის ისტორიის შესასწავლად, არამედ X ს-ის II ნახევრის სომხეთში განხეთქილების საკითხზე შექმნილი საზოგადოებრივი აზრის გამოსავლენად.

“გეორგიკა“ ტ. VII (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1969 წ., ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარებში დაურთო ხ. ყაუხჩიშვილმა. “გეორგიკის“ VII ტ. მოთავსებულია XII-XIV სს. ბიზანტიურ-ბერძნული მახალები საქართველოს შესახებ.

10. კორიღეთის ოთხთავის ბერძნული მინაწერები (X-XIII სს.)

კორიდეთის ოთხთავი ეწოდება ბერძნული სახარების იმ ნუსხას, რომელიც IX საუკუნით თარიღდება და გადაწერილია საქართველოში ქართველი კალიგრაფის მიერ X საუკუნეში კეისარ ნიქიფორე ფოკას მეფობის (963-969 წწ.) დროს. ხელნაწერი დაცული იყო სოფელ კორიდეთში (მდ. ჭოროხის შესართავის, მდ. მურღულის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელი). კორიდეთში ხელნაწერი ინახებოდა XV საუკუნემდე. აქედან გადატანილ იქნა ჯერ სვანეთში, სოფ. კალაში, შემდეგ პეტერბურგში, აქედან გელათის მონასტერში. 1901 წელს გამოიგზავნა თბილისში საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში. დღეისათვის ეს ხელნაწერი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

კორიდეთის ხელნაწერის არეებზე, ზოგჯერ თვით ტექსტში, მოიპოვება X-XIII საუკუნეების მინაწერი, როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ ენაზე, რომელშიც დაცულია ცნობები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხსა და სხვა პერიოდებზე. ხელწერილის ქართული მინაწერები შესწავლილი და გამოცემული აქვთ მარი ბროსეს, მოსე ჯანაშვილს, ნიკო მარს.

კორიდეთის ოთხთავში დაცული ბერძნული მინაწერების ქართული თარგმანი შესრულებულია პროფ. გრიგოლ წერეთლის გამოცემული ტექსტის მიხედვით – Г. Ф. Церетели, Коридетская рукопись и ее греческие приписки, тб., 1937 г.

II. იოანე ცეცე, XII ს. კომენტატორი და პოლიპისტორი (1110-1180 წწ.). მამის მხრიდან წარმოშობით ბერძენი, დედის მხრიდან იბერთა შთამომავალი. იოანე ცეცეს ლიტერატურული შემკვიდრებიდან “გეორგიკის“ VII ტომში შესულია ორი ნაშრომი: “ზილიადები“ (ფილოლოგიურ-ისტორიული პოემა) და ლიკოფორნის “კასანდრას“ სქოლიოებიდან ამოკრებილი მასალა.

იოანე ცეცეს ხშირად მოსდის უბეში შეცდომები. მაგ.: იბერების, აბაზგების და ალანების, ერთი მხრივ, მეორე მხრივ. აბაზგების და მასაგეტების, და, მესამე მხრივ, ხალიბებისა და სკვითების იდენტურობაზე; კოლხების ეგვიპტიდან გადმოსახლებაზე (ანალოგიური შეხედულებისა ამ საკითხთან დაკავშირებით ჰეროდოტე (იხ. ჰეროდოტეს ისტ., ტ. I, 1975 წ., ტ. II, 1976 წ.).

ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია თ. კისლინგის, ლატიშევის, ვენდელის, მორავსკის გამოცემულ ტექსტებზე დაყრდნობით. მასში დაცულია ცნობები ქართველურ ტომებზე: აბაზგებზე, იბერებზე, ხალიბებზე, კოლხებზე||ლაზებზე; ასევე ოქროს საწმისსა და კოლხეთში არგონავტების ლაშქრობაზე.

12. გიორგი პახიმერე (1242-1310წწ.) ბიზანტიელი ისტორიკოსი, მისი მთავარი ნაშრომია “ისტორია“ და მოიცავს 1261-1308 წლების ბიზანტიის ისტორიას. პახიმერეს “ისტორია“ გიორგი აკროპოლიტეს საისტორიო ნაშრომის გაგრძელებაა. პახიმერეს “ისტორია“ სანდო პირველწყაროა მკვლევართათვის, რადგან ის თვითმხილველი და მომსწრეა იმ ამბებზე, რომელსაც აღწერს. აღსანიშნავია, რომ ტრაპიზონის იმპერიას (რომლის ისტორიასაც ის გადმოგვცემს) ლაზურად მიიჩნევს. ნაშრომში დაცულია ასევე ცნობები დიმიტრი თავდადებულის ძის, დავით VII-ის შესახებ.

“გეორგიკის“ VII ტომში პახიმერეს “ისტორიიდან“ ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ბეკერის (1835 წ. ბონი), მორავსკის (1958 წ. ბერლინი), კარპოვის (1862 წ. სანკტ-პეტერბურგი) გამოცემულ ტექსტებზე დაყრდნობით.

13. გიორგი აკროპოლიტე (1217—1282 წწ.), ბიზანტიელი ისტორიკოსი. “გეორგიის” VII ტ. შესულია მისი ძირითადი ნაშრომიდან “საქრონიკო ისტორია” ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი, რომელიც ძირითადად ეხება ტრაპიზონის იატორიას. თხზულება ნიკეტა ხონიატეს ისტორიის გავრძელებას წარმოადგენს. თარგმანი შესრულებულია ე. ბეკერის 1836 წ. და ჰეიზენბერგის 1903 წ. გამოცემულ ტექსტებზე დაყრდნობით.

14. ევრემის (XII-XIII სს.) “ქრონიკა”; იწყება იულიუს კეისრის მოღვაწეობით და მთავრდება 1261 წლით. თხზულება დაწერილია 1313 წ. “ქრონიკას” დართული აქვს კონსტანტინოპოლის პატრიარქთა სია. “ქრონიკა” მოღწეულია XIV ს. ხელნაწერით და XVIII ს. გადაწერილი პირით. მე-7 ტ. შეტანილი მასალის თარგმანი შესრულებულია ანჯელო მაიოს მიერ 1840 წ. ბონში გამოცემული ტექსტის მიხედვით.

15. ნიკიფორე ქსანთოპულ^ს XIII-XIV სს. საეკლესიო მოღვაწე (კონსტანტინოპოლის პატრიარქი 1350-1362 წწ., მისი “საეკლესიო ისტორია”, რომელიც 18 წიგნს მოიცავს, აღწერს ქრისტეს დაბადებიდან 610 წლამდე პერიოდს. მასვე ეკუთვნის კონსტანტინოპოლის კეისართა და პატრიარქთა კატალოგი. ნაშრომში დაცულია ცნობები ქართლის მოქცევის შესახებ, ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობაზე საქართველოში (აბაზგების გაქრისტიანება).

16. ნიკიფორე გრიგორაძის (1290-1360 წწ.) XIV ს. მოღვაწე. მისი თხზულება “ისტორია” მოიცავს 1204-1359 წლების პერიოდს. მასში დაცულია საყურადღებო ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

თხზულებიდან ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ლ. შოპენის 1829-30 წწ., ი. ბეკერის 1855 წ. გამოცემული ტექსტების მიხედვით.

17. მიქელ პანარეტოსი, XIV-XV სს. მოღვაწე. დაწერა “ტრაპიზონის ქრონიკა”, რომელშიც დაცულია ცნობები საქართველოს შესახებ. “ტრაპიზონის ქრონიკიდან” ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ალ. გამყრელიძის 1960 წ., ახანანაშვილის 1905 წ. და თ. უსპენსკის 1929 წ. გამოცემული ტექსტების მიხედვით.

“გეორგიკა” ტ. VIII (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1970 წ., ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოცემა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. “გეორგიკის” VIII ტ. მოთავსებულია XII-XV სს. ბიზანტიურ-ბერძნული მახალგები საქართველოს შესახებ.

18. ეესტათი თესალონიკელი, XII ს. სასულიერო მოღვაწე, 1175 წ. თესალონიკის მიტროპოლიტი. VIII ტომში შეტანილია მისი კომენტარები “ილიადასა და ოდისეასათვის”, რომელშიც დაცულია ცნობები საქართველოს შესახებ. ეესტათის კომენტარებიდან ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ი. ბეკერის მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით (რომელიც დაერთო ლეონ გრამატიკოსოს “ზრონოგრაფიის” გამოცემას).

19. თეოდორე ბალსამონი XII ს. მოღვაწე (იურისტი). 1185-1191 წლებში ანტიოქიის პატრიარქი. “გეორგიის” VIII ტომში შეტანილი თხზულებიდან ამოკრებილი მასალის (ნაშრომიდან “XIV ტიტულის “სჯულის კანონის” კომენტარი”) თარგმანი შესრულებულია მორავსკის 1933 წელს და გრუმელის

1947 წ. გამოცემულ ტექსტებზე დაყრდნობით. თხზულებაში დაცულია ცნობები საქართველოს ეკლესიების ავტოკეფალიის შესახებ.

20. დუკა (1400-1470 წწ.) XV ს. ისტორიკოსი. მისი „ისტორია“ იწყება შესავლით, რომელშიც ზოგადად გადმოცემულია მსოფლიო ისტორია ადამიდან 1204 წლამდე. დუკა უფრო სრულად აღწერს 1204-1359 წლების ამბებს, ყურადღებას ამახვილებს ოსმალთა ბატონობის გავრცელებაზე. VIII ტომში შეტანილი მასალის თარგმანი შესრულებულია ო. ბეკკერის 1834 წ., მორავსკის 1929 წ., ი. დოლგერის 1931 წ., ა. სტეპანოვას 1953 წ. გამოცემულ ტექსტებზე დაყრდნობით.

21. გიორგი სფრანძესი XV ს. (1401-1478-79 წწ.) მოღვაწე. დაწერილი აქვს ისტორიული ხასიათის თხზულება „ქრონიკა“ ორ ნაწილად. I ნაწილი მოიცავს 1413-1478 წლების ამბებს, რომლის მონაწილე და თვითმხილველი თვითონ იყო. II ნაწილი შედგება 4 წიგნისაგან და მოიცავს 1258-1478 წლების მოვლენებს.

VIII ტომში შეტანილი საფრანძესის თხზულებიდან ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ი. ბეკკერის 1938 წ., გ. დესტუნისის 1893 წ., დოლგერას 1956 წ., პაპადოპულოსის 1938 წ., ა. როტმაუერის 1951 წ. გამოცემული ტექსტების მიხედვით.

22. ლაონიკე ხალკოკონდილე XV ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი. მის მიერ დაწერილი „ისტორია“ მოიცავს 1298-1463 წლების ამბებს. ნაშრომის ბოლოს დამატების სახით აღწერილი აქვს 1484-1487 წლების მოვლენები. მისი „ისტორია“ დაწერილია XV ს. 80-იან წლებში. თხზულებიდან ამოკრებილი მასალის თარგმანი შესრულებულია ა. დარკოს 1922-1927 წწ., ი. ბეკკერის 1848 წ., ფ. გლაბლერის 1954 წ. და გ. ლიტენის 1962 წ. გამოცემული ტექსტების მიხედვით.

თხზულებაში დაცულია ცნობები საქართველოს შესახებ.

23. მათე ბლასტარესი XIV ს. მოღვაწე. მისი კანონიკური ხასიათის ნაშრომი შესრულებულია 1335 წლის მახლობელ ხანაში. მასში დაცული ცნობები საქართველოს ეკლესიის შესახებ მოცემულია თავში — „თავდებობის შესახებ“.

24. VIII ტომში შეტანილია ათონის ივერთა მონასტრის აქტები. VIII ტომში შეტანილი (X-XIV სს.) აქტების თარგმანი შესრულებულია 1879 წ. მოსკოვში გამოცემული ტექსტების მიხედვით. მასში დაცულია ათონის ივერთა მონასტრის სიგელგურჯები და ივერთა მონასტრის ისტორია.

25. მხითარ აირივანეცი, „ქრონოგრაფიული ისტორია“, თბ., 1990 წ.

ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა.

XIII ს. სომეხი ისტორიკოსის მხრითარ აირივანეცის თხზულება „ქრონოლოგიური ისტორია“ ავტორს დაუწერია XIII ს. მიწურულს. ნაშრომი მოიცავს ისტორიულ ამბებს უძველესი დროიდან 1289 წლამდე. მასში დაცულია ცნობები საქართველოს შესახებ. აქვეა წარმოდგენილი და ქრონოლოგიურად დალაგებული მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა ქვეყნის საერო და სასულიერო ხელისუფალთა სიები. სხვა წყაროებთან ერთად აირივანეცი იყენებს ქართულ წყაროებს. აღსანიშნავია ის, რომ ავტორი ზოგჯერ, სხვა წყაროებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს ქართულ წყაროებს.

26. ჭუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შესავალი წაუძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1974 წ.

XIII ს. ირანელი ისტორიკოსის ალა ადლინ მალიქ ჭუვეინის ნაშრომში “ქვეყნების დამპყრობის ისტორია” დაცულია პირველხარისხოვანი ცნობები ამიერკავკასიის ქვეყნებსა და მათ შორის საქართველოში მონღოლებისა და ჯალად ადლინის შემოსევების შესახებ და წარმოადგენს საუკეთესო პირველწყაროს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

27. იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკ. I. არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბ., 1964 წ.

წიგნში წარმოდგენილია XIII ს. არაბულენოვანი ავტორის იაკუთის 1178-1229 წწ. გეოგრაფიული ლექსიკონიდან ამოკრებილი ცნობები VIII-XIII სს. საქართველოსა და კავკასიის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად.

28. ზაქარია ალ-ჰაზინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. არაბულ ტექსტს შესავალი წაუძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ოთარ ცქიტიშვილმა, თბ., 1975 წ.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალა ამოკრებილია XIII ს. ცნობილი არაბი კოსმოგრაფისა და გეოგრაფის ზაქარია ალ-ჰაზინის ორი ნაშრომიდან: “ქმნილებათა საოცრებანი და არსებულთა საკვირველებანი” და “ქალაქთა ძეგლები და ცნობები ალაშის მონათა შესახებ”. ავტორის ორივე თხზულებაში დაცული ცნობები შეიცავს საყურადღებო ინფორმაციას საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიული წარსულისა და ისტორიული გეოგრაფიის შესახებ.

29. სტეფანოს ორბელიანი, XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, რომლის თხზულების “ცხოვრება ორბელიანთა” ძველი ქართული თარგმანები წარმოადგენს ამავე ავტორის თხზულების “სისაქანის სახლის ისტორიის” რნ-ე თავს. აღნიშნული თხზულება ერთ-ერთი ძირითადი პირველწყაროა მონღოლთა ბატონობის პერიოდის ამიერკავკასიის ხალხთა და მათ შორის საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ი. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978 წ.

30. თოვმა მეწოფეცი, “ისტორია თემურლენგისა და მისი შთამომავლებისა. ნაშრომი ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბ., 1987 წ.

თოვმა მეწოფეცი სომხური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. მოღვაწეობდა XIV ს. მე-2 ნახევარსა და XV ს. I ნახევარში (1376-1446 წწ.). ნაშრომში დაცულია საინტერესო ცნობები თემურ ლენგისა და შვებატკინის თურმანთა საქართველოში განხორციელებული შემოსევების შესახებ (XIV ს. ბოლო მეოთხედი — XV ს. I ნახევარი). აღნიშნული ნაშრომის ქართული თარგმანი შესრულებულია კარაპეტ შაჰნაზანიანის 1860 წელს პარიზში გამოცემული სომხური ტექსტის საფუძველზე.

31. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.). სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძები საქართველოს

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მასში განხილულია საქართველოს ისტორიის ცალკეული, დღეისათვის ნაკლებად შესწავლილი საკითხები. ხელნაწერები ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბლაძემ, თბ., 1978 წელი (სულ შეტანილია 138 ანდრძი).

32. XV ს. იტალიელ დიპლომატ-მოგზაურთა: კატერინო ძენოს, ჯოსაფა ბარბაროს, ჯოვანი მარია ანჯოლელოს თხზულებებიდან ამოკრებილი მასალა მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლისათვის. ავტორები თვითმხილველი და ზოგჯერ მონაწილე არიან იმ ამბებისა, რომლებსაც აღწერენ. ამდენად, თხზულებები საუკეთესო პირველწყაროს წარმოადგენს აღმოსავლეთის ქვეყნების. მათ შორის საქართველოს ისტორიის კვლევისათვის.

იტალიელ მოგზაურთა ცნობები იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მაძისთვალისვილმა, თბ., 1981 წ.

33. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1966 წ.

34. XVI ს. სპარსელი ისტორიკოსის ჰასან ბეგ რუმლუს 12-ტომიანი ნაშრომიდან „უმშვენიერესი ისტორიათაგანი“ ჩვენამდე მოღწეულია სულ ორი XI-XII ტომები, რომლებიც მოიცავს 1404/5 — 1577/8 წლების ამბებს. ქართულ თარგმანში შეტანილია ორივე ტომიდან ამოკრებილი მასალა. ჰასან რუმლუ თვითმხილველი იყო XVI ს-ში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა. მაგალითად, მას უშუალოდ მიუღია მონაწილეობა შაჰ თამაზის მიერ 1546/7 წლებში მოწყობილ ლაშქრობაში. აღწერილობით აქვს აღწერილი ვარძიის სამონასტრო კომპლექსის დარბევა. აღწერილი აქვს ასევე ვარძიის მთავარი ტაძრის შიგა მოწყობილობა. ამდენად, მისი ისტორია წარმოადგენს პირველხარისხიან წყაროს XV-XVI სს. საქართველოსა და კავკასიის ქვეყნების ისტორიის შესწავლისას.

35. სამი სპარსული წყარო XVI ს. საქართველოს შესახებ. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გულაშვილმა, თბ., 1990 წ.

ნაშრომში წარმოდგენილია სპარსული წერილობითი წყაროები: შაჰ ისმაილ I-ის ანონიმი ავტორის „ქვეყნის დამამშვენიებელი შაჰ ისმაილი“, ყაზი აჰმედ რაფარის „ქვეყნის დამამშვენიებელი ისტორია“ და მაჰმუდ ნათანზის „საუკეთესო ამბები მატიანეთა თხრობაში“. აღნიშნულ თხზულებაში აღწერილია ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთები, რომლებიც ქრონოლოგიურად ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს. ანონიმი ავტორის ნაშრომი ეხება XVI ს. I მეოთხედის ამბებს - შაჰ ისმაილ I-ის მმართველობის პერიოდს (1501-1524 წწ.). აჰმედ რაფარის მერე თხზულებაში აღწერილია შაჰ თამაზ I-ის მმართველობის წლები (1524-1576 წწ.). თხრობა წყდება 1565 წელს. მაჰმუდ ნათანზი ყი აშუქებს შაჰ ისმაილ II-ის (1576-1577 წწ.), შაჰ მოჰამედ ზოდანანდეს (1577-1587 წწ.) და ნაწილობრივ შაჰ აბას I-ის მმართველობის (პირველი 11 წელი) წლებს. ნაშრომი მთავრდება შაჰ აბასის მიერ ხორასანში მოჰამედ ხანოზბეგის დამარცხების და ჰერეთის დაპყრობის აღწერით. ამდენად, სამივე თხზულება საუკეთესო წყაროა XVI ს. ირან-საქართველოს ურთიერთობისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის კვლევის შესახებ.

36. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, 1947 წ., წიგნი II, 1941 წ., წიგნი III, 1958 წ. აღნიშნული წყარო XVI ს. თურქული ხელნაწერი ძეგლია. I ტომში შესულია თურქული ტექსტი ტექსტუალური ხასიათის შენიშვნებით. II ტ. წარმოადგენს თურქული ტექსტის ქართულ თარგმანს. III ტ. მოიცავს გამოკვლევებსა და კომენტარებს.

XVI ს. II ნახევარში თურქეთის იმპერიამ საბოლოოდ დაიპყრო საქართველოს სამხ. დასავ. ტერიტორია — სამცხე-საათაბაგო, სადაც დაამყარეს თავიანთი ხელისუფლება და მას "გურჯისტანის ვილაიეთი" — საქართველოს პროვინცია" უწოდეს. დაპყრობის შემდეგ თურქებმა მოახდინეს აღნიშნული პროვინციის საყოველთაო აღწერა, რომლის მიზანი იყო დასაბეგრავი ობიექტების გამოვლინება. ქართული მოსახლეობა დაბეგრად იქნა ოსმალური სისტემის შესაბამისად. "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" წარმოადგენს თურქულ ოფიციალურ დოკუმენტს. ამდენად, ქართულ-თურქული პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა შესწავლისა და კვლევის საქმეში განსაკუთრებული ღირებულების პირველწყაროა.

თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჭიქიამ.

37. თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. მასში წარმოდგენილია ოსმალეთის სამეფო კარზე სამცხის რეგიონიდან გაგზავნილი ბლთი თურქული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საინტერესო და სანდო ინფორმაციებს ყვარყვარე III ათაბაგის (1516-1535 წწ.) დროინდელი სამცხე-საათაბაგოს საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტები მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ მასში წარმოდგენილია აქამდე უცნობი ფაქტები და სახელები, რაც იძლევა საშუალებას სამცხე-საათაბაგოს მე-16 ს. ისტორიის უფრო სრული კვლევისათვის.

თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევებით, საძიებლებითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1983 წ.

38. ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. თბ., 1969 წ.

ისკანდერ მუნში (ისკანდერ ბეგ თორქემანი) XVI- XVII სს. ისტორიკოსია (1560-1634 წწ.). მისი შრომა „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“ შედგება წინასიტყვაობის, შესავლისა და ორი ტომისგან. შესავალში მოცემულია სეფიანი შაჰების: ისმაილ I-ის, თამაზ I-ის, ისმაილ II-ისა და მოჰამედ ჰოდებენდეს მეფობის წლების ისტორია. შრომის ძირითადი ნაწილი მოიცავს შაჰაბას I-ის მმართველობის წლებს (1587-1629 წწ.) დასკვნით ნაწილში მოცემულია შაჰ სეფი I-ის მმართველობის დასაწყისი 1634 წლამდე.

ნაშრომში განხილულია პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა საკითხები (მიწათმფლობელობა, საგადასახადო პოლიტიკა, სოციალური მოძრაობანი და სხვა).

ისკანდერ მუნშის სეფიანი დინასტიის შაჰების (პირველი ოთხი) აღწერისას გამოუყენებია წინამორბედ ისტორიკოსთა შრომები. ამავე დროს, მას, როგორც კარის ისტორიკოსს, ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო არქივში დაცულ მასალაზე. მკვლევართა შეფასებით, მისი ნაშრომი — შაჰაბას I-ის და შაჰ-სეფი I-ის

მეფობის პერიოდის ისტორია, წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს XVI-XVII სს. როგორც ირანის, ასევე საქართველოსა და კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად.

39. ისქანდერ მუნში, „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის — გაგრძელება“. სპარსული ტექსტის გამოკვეთვა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბ., 1981 წ.

ისქანდერ მუნშის ნაშრომის ეს ნაწილი შეტანილია II ტომში. ნაშრომი ეხება 1629-1634 წლების ამბებს (შაჰ-სეფის I-ის მმართველობის პირველი წლები). შემდგომი წლების ისტორია გაუგრძელებია რამდენიმე ავტორს: მოჰამედ იუსუფს „სამოთხე“, სადაც გადმოცემულია შაჰ-სეფი I-ის მეფობის ბოლო პერიოდი (1642 წლამდე); მოჰამედ მასუმის ნაშრომში თხრობა მოტანილია 1663-1664 წლამდე.

ისქანდერ მუნშის თხზულების ბოლო ნაწილში, ისევე როგორც მის ძირითად ნაწილში, დაცულია მრავალი საინტერესო ცნობა საქართველოსა და ირანში მოღვაწე ქართველების (გიორგი სააკაძე, ხოსრო მირზა = როსტომ მეფე, სვიმონ II, ზურაბ არაგვის ერისთავი, თეიმურაზ I, დაუდ-ხან უნდილაძე და სხვები) შესახებ.

ამდენად, ისქანდერ მუნშის აღნიშნული თხზულება შეიცავს საყურადღებო ცნობებს ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს. 30-იანი წლებისათვის.

40. იბრაჰიმ ფეჩევის „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჩიქიამ, თბ., 1964 წ.

იბრაჰიმ ფეჩევი (1574-1650 წწ.) ეთნიკური წარმომავლობით ბოსნიელი, ხოლო დედის მხრიდან სოკოლოვიჩების ცნობილი გვარიდან იყო. იბრაჰიმი დაბადებულია 1574 წ. სამხ. დასავლეთ უნგრეთის ქ. ფიუნჯფირხენში, რომელსაც უნგრულად ეწოდება „ფეჩ“. აქედან წარმოდგება მისი გვარი ფეჩევი (ფეჩელი).

იბრაჰიმ ფეჩევი 1641/2-1650 წლებში დაუწერია ორტომიანი ნაშრომი - „ისტორია“, რომელიც მოიცავს 1520-1640 წლების ისტორიას. ქართულ თარგმანში ამოკრებილია ცნობები, რომელშიც აღწერილია 1536-1640 წლების ამბები. მასში დაცულია ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაშრომის მეორე ნაწილი წარმოადგენს პირველწყაროს. მასში მოცემული მასალა ხელს უწყობს, გარკვეულ იქნეს, თუ რა თანმიმდევრობითა და სისასტიკით ხდებოდა თანამედროვე პროვინციების დაპყრობა თურქების მიერ.

41. ქათიბ ჩელების „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1978 წ.

მუსტაფა იბნ აბულაჰი (ქათიბ ჩელები, იგივე ჰაჯი ხალიფა) XVII ს. (1609-1657 წ.) თურქი ისტორიკოსია. ის 20-ზე მეტი შრომის ავტორია. მათ შორის 3 თხზულების თარგმანია დაბეჭდილი წინამდებარე წიგნში. ესენია: „სამყაროს მეგზური“, დაწერილია 1645-1655 წლებში; „ეამთა აღწერილობა და ისტორიული გადმოცემათა დარგში საუკეთესო გამოთქმების მოკლე გადმოცემა“, დაწერილია 1641 წ. და „ისტორიულ მოვლენათა კალენდარი“, დაწერილია 1648 წ. შრომებში დაცულია პირველხარისხოვანი ცნობები კავკასიისა და საქართველოს ისტორიის შესახებ.

42. ზაქარია აგულეცი, დღიური (ნაწ. II-III), ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძემ, თბ., 1979 წ.

დღიური XVII ს. სომეხი მემატიანისა და კომერსანტის, ზაქარია აგულეცის დღეისათვის ცნობილი ერთადერთი ნაწარმოებია. შინაარსის მიხედვით, შრომა სამ ნაწილადაა გაყოფილი. I ნაწილში საუბარია სავაჭრო მარშრუტების შესახებ თურქეთში, ევროპასა და ირანში. მეორე ნაწილში შეტანილია ცნობები თანამედროვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენების შესახებ.

43. არქჰელ დავრიჯეცის “ცნობები საქართველოს შესახებ”. თარგმანი, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბ., 1974 წ.

არქჰელ დავრიჯეცი XVII ს. (გარდაიცვალა 1670 წ.) სომეხი ისტორიკოსია. მისი თხზულება “ისტორიათა წიგნი” დაწერილია 1651-1662 წლებში. მასში დაცულია საყურადღებო ცნობები XVII ს. პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და სოც.-ეკონომიკური ვითარების შესახებ. აღწერილია ქართველი ხალხის ბრძოლა სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

44. ევლია ჩელების “შოგზაურობის წიგნი”, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკ. I, თბ., 1971 წ., ნაკ. II, თბ., 1973 წ.

აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია XVII ს. თურქი ისტორიკოსისა და შოგზაურის ევლია ჩელების ავტომიანი თხზულება “შოგზაურობის წიგნის” მე-2 ტომის თარგმანი. ნაშრომში დაცულია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შესახებ პოლიტიკური, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ხასიათის პირველხარისხოვანი ცნობები. ეს წყაროები წარმოადგენს ძვირფას მასალას ჩვენი ქვეყნის წარსულის შესასწავლად.

45. დონ პიეტრო ავიტაბილე, “ცნობები საქართველოზე”.

XVII ს. იტალიელი მისიონერის პიეტრო ავიტაბილეს რელაციონი (მოხსენებითი ბარათები — ანგარიშები) წერილების სახით გაუგზავნია ალეპოდან და საქართველოდან პროპაგანდა ფიდესათვის (კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი კონგრეგაცია) რომში. რელაციონში შესული მასალა შეეხება XVII ს. საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და რელიგიურ საკითხებს. ანგარიშებში დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები ქართველთა წარმოებულ ბრძოლებზე ირანის აგრესიის წინააღმდეგ, თეიმურაზ I-ის პოლიტიკურ ორიენტაციაზე, მისიონერთა საქმიანობაზე საქართველოში, ქართველ სასულიერო პირთა ცხოვრებაზე.

ავიტაბილე თვითმზილველია იმ ამბებისა, რომელსაც აღწერს თავის ანგარიშებში. ამდენად, ეს რელაციონები პირველხარისხოვანი წყაროა XVII ს. საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

“ცნობები საქართველოზე” შესავლით, ტექსტი ქართული თარგმანით, კომენტარებით გამოსცა ბ. გიორგაძემ, თბ., 1977 წ.

46. XVII ს. მოღვაწის დონ ჭუზეპე ჭულიჩე მილანელის “წერილები (რელაციები) საქართველოზე”, ლამბერტისთან და დონ პიეტრო ავიტაბილესთან ერთად სანდო ცნობებს ვეაწოდის დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით სამეგრელოს სამთავროს, ისტორიის შესახებ. ნაშრომი ინფორმაციული ხასიათისაა. მასში, პოლიტიკური ხასიათის ცნობების გარდა, დაცულია

გეორგაფიული, ეთნოგრაფიული, სოციალური, საკულტო ცერემონიალებთან და მედიცინასთან დაკავშირებული საკითხები. ჟუზეპე ჭულიჩეს რელაციები, როგორც თვითმხილველის მიერ აღწერილი, სანდრა და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს.

იტალიური ტექსტი ქართულ ენაზე თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო და გამოსცა ბ. გიორგაძემ, თბ., 1964 წ.

47. მასალები XVIII ს. საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალუპოელის — ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის შვილის მიერ). აღწერილობა შეიცავს ცნობებს ქართული სამეფო-სამთავროების გეორგაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. საქართველოს შესახებ მოტანილი მასალა განხილულია, ძირითადად, ნაშრომის შესავალ ნაწილში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბ., 1973 წ.

48. "თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები". შრომა წარმოადგენს XVII ს. მეორე ნახევრის ანონიმი ვენეციელი ავტორის რელაციის თარგმანს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ირან-ოსმალეთის XVI ს. მეორე ნახევარში წარმოებული ომების, ამიერკავკასიისა და საქართველოს ისტორიის საკითხების შესასწავლად. თხზულება იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდერ მაშისთვალის შვილმა, თბ., 1987 წ.

49. ალექსი იველიევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. წიგნში შეტანილია პროფ. მ. პოლიევქტოვის მიერ 1926 წ. გამოქვეყნებული საელჩოს მეორე პირის ალექსი იველიევის მიერ მოსკოვის საგანგაოში (სამინისტროში — ე.პ.) წარდგენილი საანგარიშო მოხსენების რუსული ტექსტი ("!" ხელნაწერი) ქართული თარგმანით. ანგარიშს თან ერთვის მოსკოვის არქივში დაცული ამ ელჩობის მოხსენებათა ხელნაწერების მიმოხილვა. საანგარიშო აღწერილობაში დაცულია ცნობები მე-17 ს. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის, იმერეთის მოსახლეობის, სოფლების, მეურნეობის, ციხე-ქალაქების, გლეხია-შონასტრების შესახებ.

რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1969 წ.

50. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650-1652 წწ. წიგნში შეტანილია ამ ელჩობის ხელმძღვანელის ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიერ მოსკოვის საგარეო საქმეთა საგანგაოში წარდგენილი საანგარიშო მოხსენების ("B" ხელნაწერი) თარგმანი, რომელსაც თან ერთვის პროფ. მ. პოლიევქტოვის მიერ გამოცემული რუსული ტექსტი და მოსკოვის არქივში დაცული ამ ელჩობის მოხსენებათა ხელნაწერების მიმოხილვა.

რუსული ტექსტი ქართული თარგმნებითა და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1970 წ.

51. ჟან შარდენის (XVII ს. ფრანგი მოგზაური) "მოგზაურობა". ჟან შარდენის ცნობები საქართველოს შესახებ ამოკრებილია მისსავე თხზულებიდან "მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში".

შარდენის თხზულება წარმოადგენს XVII ს. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო პირველწყაროს. მასში მოცემული ცნობები ასახავს მე-

17 ს. საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას. თხზულება გამოირჩევა მრავალმხრივობითა და სანდოობით, რადგან ავტორი თვითმზილველია იმ მოვლენებისა, რომელსაც აღწერს. თხზულების თარგმანს ერთვის გამოკვლევა და კომენტარები, რომელშიც დაზუსტებულია და კრიტიკულად არის შეფასებული ავტორის ცნობები.

შარდენის ნაშრომი ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა, საძიებლები და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975 წ.

52. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V ს. ნაშრომში. წარმოდგენილია ორი ბერძენი ავტორის: იოსებ ფლავიუსის (ახ.წ. I ს.) და ფლავიუს არიანეს (ახ.წ. II ს.) თხზულებებიდან ამოკრებილი მასალა, რომელშიც მოცემულია საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ (უფრო სრული ინფორმაცია იოსებ ფლავიუსისა და მისი თხზულებისა “მოთხრობანი იუდაებრივისა ძველ სიტყუაობისანი“ იხ. ნინო მელიქიშვილის მიერ 1987წ. და 1988 წ. 2 ტომად გამოცემულ წიგნში).

ტექსტები ბერძნულიდან ქართულად თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983 წ.

53. იასე ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (XVII ს. რუსული მასალები საქართველოს ისტორიისათვის). აღნიშნული ავტორები XVII ს. მოღვაწეები (ვასილ გაგარა საერო პირია — ვაჭარი, არსენ სუხანოვი — სასულიერო) არიან. ნაშრომში მოცემულია XVII ს. რუსული ნარატიული ძეგლებიდან ამოკრებილი ცნობები საქართველოს შესახებ.

რუსული ტექსტი ქართული თარგმანითურთ, გამოკვლევითა და საძიებლთ გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1965 წ.

54. ეოზეფ პიტონ დე ტურნეფორის (1656-1708 წწ.) “მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“. აღნიშნული თხზულება წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების, მათ შორის საქართველოსა და სომხეთის ისტორიის საკითხების კვლევისას. ტურნეფორის თხზულების ქართულ თარგმანს თან ერთვის შესავალი და კომენტარები, რომლებშიც მოცემულია მოგზაურის ცნობების მეცნიერული კვალიფიკაცია და დადგენილია ავტორისეული ცნობის სიზუსტე და უზუსტობა.

ტურნეფორის თხზულება ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1988 წ.

55. მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 1979 წ.

მუსტაფა ნაიმას (1655—1716 წწ.) “ისტორიაში“ დატულია ცნობები საქართველოსა და კავკასიის, ირან-ოსმალეთს შორის წარმოებული ომებისა (XVII ს. I ნახევარში) და შედეგების შესახებ.

56. გურჯიზადე, XVII ს. მეორე ნახევარი — XVIII ს. I ნახევარი თურქი ისტორიკოსი, რომლის თხზულება “თბილისის დაპყრობის წიგნი“ შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს XVIII ს. I მეოთხედის ქართლის, ზოგადად ამიერკავკასიის შესახებ. უფრო დაწვრილებით არის აღწერილი 1723-1724 წლებში თურქების მიერ ქართლის დაპყრობის ისტორია. ავტორი თვითმზილველია მის მიერ აღწერილი ამბებისა, ამდენად, თხზულებაში დატული ცნობები სანდოა და

საუკეთესო პირველწყაროა ამიერკავკასიისა და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. თხზულების თარგმანი შესრულებულია სტამბოლის სულეიმანის მეჩეთის ბიბლიოთეკასა და ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერების მიხედვით.

57. მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევები და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიემა, თბ., 1976 წ.

XVIII ს. თურქი ისტორიკოსის მეჰმედ რაშიდის (გარდაიც. 1735 წ.) "ისტორიაში" აღწერილია 1660-1722 წლების ამბები. ნაშრომის ქართულ თარგმანში შეტანილია მხოლოდ ის ცნობები, რომლებიც ეხება ძირითად დასავლეთ საქართველოს. XVII ს. მეორე ნახევრის ამბების აღწერისას მას გამოუყენებია წინამორბედ ისტორიკოსთა (იბრაჰიმ ფეჩევის "ისტორია"; ქათიბ ჩელების "სამყაროს მეგზური", "ფეზლექს" არაბულ და თურქულ ენებზე დაწერილი თხზულებები; ევლია ჩელების "მოგზაურობანის წიგნი", მუსტაფა ნაიმას "ისტორია", აჰმედ მუნეჯიმ ბაშის, კოჩი ბეი გორისელის და სხვათა) შრომები. ამავე დროს, მას, როგორც სამეფო კარის მემკვიდრეს, ზელი მიუწვდებოდა სახელმწიფო დოკუმენტებსა და საარქივო მასალაზე. ამდენად, მეჰმედ რაშიდის ცნობები წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო პირველწყაროს დასავ. საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის კვლევისას.

58. ესაია ჰასან ჯალალიანცი, აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო კარლო კუციამ, თბ., 1971 წ.

XVII ს. მიწურულისა და XVIII ს. I მეოთხედის სომეხი ისტორიკოსის ესაია ჰასან ჯალალიანცის ნაშრომში აღწერილია XVII ს. დასასრულისა და XVIII ს. I მეოთხედის ირანის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას.

59. დე გრაი დე ფუას ცნობები (XVIII ს.) საქართველოს შესახებ. წიგნში შეტანილი მასალა წარმოადგენს საქართველოში გამოგზავნილი რუსული სამხედრო კორპუსის სარდლის, გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტის, კაპიტან კარლო დე გრაი დე ფუას მემუარული ხასიათის რელაციას. როგორც თვითმხილველის მიერ აღწერილი ამბები, სანდო და საინტერესოა. მასში დაცულია ცნობები საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური ისტორიის შესახებ. ასევე შეტანილია ქართველებისა და ზოგიერთი სხვა კავკასიელი ხალხის ყოფის ეთნოგრაფიულად საინტერესო დეტალები.

ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჭუმბერ რიშიელმა, თბ., 1985 წ.

60. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I - 1962 წ., ტ. II - 1964 წ. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა.

XVII ს. იმ მოგზაურთაგან, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოში და დავიტოვეს ცნობები ჩვენი ქვეყნის შესახებ, არის იოჰან გიულდენშტედტი.

მან საქართველოში იმოგზაურა 1771-1772 წწ. გიულდენშტედტმა მოიარა და აღწერა კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო და ღუშეთის გავლით დაბრუნდა ყიზლარში.

გიულდენშტედტის ორტომიანი ნაშრომი ძირითადად დღიურებისა და მოხსენებითი ბარათების სახითაა (რაპორტების) წარმოდგენილი. ის მოიცავს ბუნებისმეტყველების ყველა დარგს. მასში საყურადღებო ცნობებია დაცული სოფლის მეურნეობის, მეაბრეშუმეობის, სამთო საქმის, ზელოსნობის, დამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის შესახებ. გიულდენშტედტის შრომებში შეტანილი მასალა ასევე ეხება საქართველოსა და მთლიანად კავკასიის იმავე პერიოდის ისტორიასა და ეთნოგრაფიულ საკითხებს. ნაშრომს თან ერთვის ქართული (ასევე, მეგრულ-სვანური დიალექტების), ჩერქეზული, ჩეჩნური და კავკასიის სხვა ენებისა და დიალექტების ლექსიკონი.

ამდენად, გიულდენშტედტის ნაშრომი "Reisen durch Russland und im Caucasischen Gebuzge, (spL. 1787 - ტ. 1) წარმოადგენს საუკეთესო პირველწყაროს XVIII ს. 70-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესწავლისა და კვლევის საქმეში.

61. კობისა და სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

ნაშრომი გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო. ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981 წ.

ნაშრომში წარმოდგენილია XIX ს. I ნახევრის მოგზაურების კობისა და სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

EMZAR CHANTURIDZE**HISTORICAL SOURCES ABOUT GEORGIA PRESERVED
IN KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY**

The role of original records of Georgian and foreign authors about Georgia is of utmost importance. We keep on publication of those primary historical sources preserved in the book depository of the Kutaisi Scientific Library.

In the present number (2) of "TSELITSDEULI", we publish annotated bibliography of 211 historical sources. I would like to note here that only one book - "14th -15th century wills of Armenian manuscripts", - contains 138 original sources. They provide information about the 14th-15th cc. Georgia's political and social life, ethnography and religious situation, which, to certain extents, complete the information about Georgia preserved in the records of the same or later periods. Prof. A. Abdaladze notes that constant invasions in Georgia destroyed a considerable part of both Georgian and foreign historical sources of 12th-15th cc. Under these circumstances, together with Georgian sources, Armenian records about Georgia acquire particular importance, so much so they come out from hands of the opposing standpoints and greatly differ from the general historical works in their essence". A. Abdaladze says that Armenian manuscripts often give incorrect or exaggerated data but their collation with other texts provides opportunities for the determination of historical truth. The same can be said with relation to other sources.

The authors of the manuscripts presented here are foreigners. Chronologically they feature different historical periods. As we publish only a part of the long list of manuscripts, we hope that in the future the chronological boundaries will enlarge and gaps will considerably be filled up and chronological sequence will be restored.

In spite of the glaring inaccuracy in some sources (that can be involuntary or even purposefully twisted or marred) they are the records of the greatest importance.

Thus, our aim is to make manuscripts available to all the specialists of the history of Georgia and to general readers interested in the issues.